ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3834122

ნომერი: AR1573920

თარიღი : 30.01.2018

გაცემის თარიღი : 21.02.2018

გაცნობის თარიღი : 21.02.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "კოლეგიუმი" კოდი: 204909956

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 30 იანვრის №AR1573920 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ტექნიკური ხარვეზის გასწორებას 2017 წლის 30 ნოემბრის №3698964 ბრძანებაში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2018 წლის 18 იანვრის №3783732 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის №3698964 ბრძანებაში. კერძოდ: ● მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობების და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის პუნქტიდან ამოღებულ იქნა ჩანაწერი ,,განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზი: (იხილეთ დანართი)'', ,,დანიშნულება: განაშენიანების ჩამოყალიბება'' და ,,შეზღუდვა: ძირითადი შენობა–ნაგებობა განთავსდეს განაშენიანების სავალდებულო ლურჯ ხაზზე; განაშენიანების რეგულირების ხაზის მიღმა შესაძლებელია განთავდეს ძირითადი შენობის დამხმარე ფუნქციის მქონე ნაგებობები: პანდუსი, კიბე, ფანჩატური და ა.შ'' და მათ ნაცვლად დაფიქსირდა ,,განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზი: -'' და ,,დანიშნულება: -''. ●გაფრთხილების ველიდან ამოღებულ იქნა ჩანაწერი: ,,დაცულ იქნეს მიწის ნაკვეთისთვის დადგენილი განაშენიანების რეგულირების და სავალდებულო ხაზები'' და მის ნაცვლად დაფიქსირდა შემდეგი ჩანაწერი: ,,დაცული იქნეს მიწის ნაკვეთზე განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზი (იხილეთ დანართი)''.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს, სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის №3698964 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ: 2018 წლის 18 იანვრის №3783732 ბრძანების თანდართულ ფაილში მითითებული განაშენიანების რეგულირების წითელ ხაზებთან დაკავშირებით.

სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზების მითითების ნაწილში 2018 წლის 18 იანვრის №3783732 ბრძანების თანდართულ ფაილში მითითებული განაშენიანების რეგულირების ხაზები, სწორად არის დატანილი და აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.